კვირა, 6 აგვისტო 1917 წ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი, ოლღას ქუჩა, № 6.

ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ეშმაკის მათრახი

№ 32

1917

## ახალი სამინისტრო.



კერენსკი (ხმა მაღლა). თქვენგან ხსნას ელის მამული და რევოლიუცია...

(ჩუმათ) ვინც დაიჯერებს ჩემის აზრით ის...

# ქუთაისში ქალაქის არჩევნების!

არჩევნების დროს, მოძმემო, ცდუნება ერთობ დიდია.
„კაცი ამას სჭამს, თუ იმას, გემოვნებაზე ჰკიდია".
ზოგს მოსწონს **ფედერალისტი,** რას ერჩი, ნება მისია
(სენია ესეც ერთგვარი, სიგიჟის დასაწყისია),
ზოგი **კადეტებს** ალმერთებს. ღმერთმა შეარგოს ყველასა
ბურჟუაძეთა, ჭირია, ტყვილა ნუ ფიქრობთ შველასა).
ზოგი თაყვანს სცემს იცით ვის? ვისა და **დაშნაკცუტუნსა,**
(თავისიანებს რო ნახავს, ფინიაც მორთავს წკმუტუნსა)
ზოგ ზოგი ხალხის მესხიად **ესერებს ასახელებსა,**
კენჭსაც მისცემენ... (ყველა გიჟს თქვენ სად შეუკრავთ ხელებსა?)
არიან **უპარტიონიც,** მონავარდენი ტყე-ველად...
(არც გზა იციან, არც კვალი, აზრი აქვთ გაურკვეველად.
მაგრამ, ძვირფასნო, ქვეყანა მარტო იმათი როდია,
იქნებ გგონიათ ამ დღეებს ამათთვის შევხაროდია?
არა, გეთაყვა, არიან ქვეყნად ავ-კარგის მცნობელნი
**სოციალ-დემოკრატიის**
**წევრნი და თანამგრძნობელნი.**
პირველი სია მათია. შეშვენით პირველობაცა,
ღარიბთა თანაგრძნობანი, ჩაგრულთა მფარველობაცა.
ვისაც სურს, ხალხის ბედ-იღბალს ხალხის მართავდეს ხელები,
მას უკეთესი იმათზე სხვა ნუღარვინ უნდა მცველები.
ვისაც სურს ხალხის ინტერეს დარაჯი ედგეს ვარგისი
ვაფრთხილებ: მხოლოდ და მხოლოდ იმედი ჰქონდეს მაგისი.
სოციალ-დემოკრატია ტალ-კვესად გამოწვრთნილია
მას უყვარს დედა მშობელი...
(იგი ხომ ხალხის შვილია!)
როცა შენ გიცავს, ჩაგრულო, იგი თავის თავს ავალებს
მისთვის ებრძოდა ლომ-გულად იგი რუსეთის მტარვალებს,
თავისუფლება იმისთვის, როგორც თევზისთვის წყალია,
ამიტომ ბევრმა მათგანმა ბორკილ ქვეშ სულიც დალია.
იგია მისი დარაჯი, ლომ-გული, განასალები,
იმის სიმტკიცეს, სილაღეს და სიმხნეს ვენაცვალები!
მაშ ეგრე, ძმანო, **ხმა მივსცეთ**
**სოციალ-დემოკრატებსა**
(თორემ დანარჩენ პარტიებს ვერ ვანდობთ ვერცა ბატებსა)

ეშმაკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვის უნდა მივსცეთ ხმა ქუთაისის ქალაქის არჩევნებში?

## აი ვის:

ა) თუ გსურთ ქალაქს მდიდრები განაგებდეს, მარტო მდიდრებზე ზრუნავდეს და ღარიბები ფეხებზე ეკიდოს, ირჩიეთ კადეტები, პლუტოკრატები.

ბ) თუ გსურთ განახლებულ გამგეობაში ისევ ძველი მამინაცვლები დასხდენ, ხმა მიეცით სოციალისტ-რევოლიუციონერთა სიას.

გ) თუ გინდათ ქალაქის მცხოვრებთა შორის ჩამოვარდეს უთანხმოება, და ქალაქის მშვიდობიანი ცხოვრება მუდმივ აყალ-მაყალით შეიცვალოს, ხმა მიეცით ნაციონალისტურ პარტიებს: დაშნაკ-ციუტუნებს, სოციალისტ-ფედერალისტებს, ნაციონალ-დემოკრატებს.

დ) თუ გსურთ ღარიბი ხალხის ინტერების დაცვა, ერთა შორის თანხმობისა და სიყვარულის ჩამოგდება, თავისუფლებისა და რევოლიუციის დარაჯთა მხარის დაჭერა ქალაქის საქმეებში სამართლიანობის გამეფება— ხმა მიეცით სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის სიას

# № 1.

## ქუთაისის არჩევნები

ქვეყანაზე (და აგრეთვე ქუთაისშიაც) ბევრი ახირებული კაცი სცხოვრობს.

აი მაგალითად: ზოგიერთსა ჰგონია:

ვინც ბევრსა ყვირის, სიტყვით ციხე-ქალაქს აშენებს, (საქმით კი კერიის პირად ნაცარში იქექება) ვინც საზოგადო მოღვაწეობას «თბილი ადგილის» თვალთა ხედვით უყურებს, ვისაც სამშობლო ენაზე აკერია, ხოლო ენა გაუჩერებელი აქვს; ვინც სხვის თვალში ბეწვს შენიშნავს, ხოლო თავისაში ჯიკვს ვერ ამჩნევს; ერთი სიტყვით ისეთი ხალხი, როგორიც ჩვენი «სოციალისტ-ფედერალისტებია» ქვეყნის მხსნელათ არიან მოვლინებულნიო.

ათასი უწირო, ამგვარ ახირებულ მოქალაქეს მაინც ვერ დააჯერებ მის შეცდომაში. როგორც «ცერცვი კედელს», არ ეთვისება გონიერი სიტყვა მის ბუნებას.

მეტსაც ვიტყვი.

ისეთი ტიპებიც არიან ჩვენში, რომ დაშნაკცუტუნებს სოციალისტებათ სთვლიან და შეგნებულათ მხარს უჭერენ. «კაცია და გუნებაო» ამბობს ანდაზა. სტოლიპინი სულელი კაცი არ იყო და თუკი მას მოსწონდა სოციალ-ხინჯორების მოღვაწეობა, რატომ ჩვენებურ შოვინისტებს არ უნდა მოეწონოს.

გონიერი მოქალაქის მოვალეობაა (თუ კი მოახერხებს რასაკვირველია) შეეცადოს მათ გადარჯულებას ტკბილი-შეგობრული სიტყვით (და არა ისე მაუზერით, როგორც ხინჯორ სოციალისტებსა სჩვევიათ, ან შემოსავლიანი ადგილის [illegible] როგორც ეს მამა მოკავშირე «სოციალ»-ფედერალისტებმა იციან).

თუ ჩვენ ამ ვაჟბატონებს დავუჯერებთ, ქალაქში უნდა ებრძოდეს უფლებისათვის ერი—ერს და არა კლასი კლასს. მაგალითად, ქუთაისის გამგეობაში სომხები თავისკენ უნდა იწიწებოდენ, ქართველები თავისკენ, რუსები კიდევ თავისკენ, თითქო ამ სხვა და სხვა ეროვნებათათვის სხვა და სხვა გვარი ქუჩები, სხვა და სხვა გვარი ტრამვაები, სხვა და სხვა გვარი ბაღები*), სხვა და სხვანაირი განათება**) იყოს საჭირო.

**სოციალ დემოკრატები** საქმეს სხვაგვარათ უყურებენ. ისინი ამბობენ:

ა) ეროვნებას აქ საჩხუბარი და გასაყოფი არაფერი აქვს. აქ საქმე მდიდართა და ღარიბთა ბრძოლაზეა დამოკიდებულიო.

მართლაც, რომელი სულელი ეროვნება იქნება კარგ წყალზე, კარგ ქუჩებზე, მშვენიერ სინათლეზე და საზოგადოთ კეთილ ცხოვრებაზე უარი სთქვას? ასეთი ახირებული ხალხი ჯერ არავის უნახავს. სამაგიეროთ ძლიერ ხშირია ისეთი ახირებული მოქალაქე, რომელსაც ყველაფერი კარგი თავისთვის უნდა, ხოლო ცუდსა და უვარგისს ზოგჯერ სხვისთვისაც გაიმეტებს. რომელ ქალაქშიაც უნდა მიხვიდეთ ყველგან ნახავთ მშვენიერსაც და მოძულებულ უბნებსაც. პირველში მდიდრები განისვენებენ, მეორეში ღარიბები იხრჩვებიან. მდიდრები ღარიბებს „ქველმოქმედებას უწევენ“. (ამისათვის არის მდიდარ

---

*) ეს კი შეიძლება, ვინაიდან ფედერალისტებს საქაფო ბაღები უფრო მოსწონთ.

---

**) მართალია არიან ისეთებიც, რომელთაც ბნელი ქუჩები ურჩევნია ნათელსა და სუფთას.

ქალბატონთა შორის მრავალი ქველმოქმედი). ისინი როცა ღარიბთა უბნებიდან ათასობით გადასახადს აიღებენ განათებისათვის, არც იმათ ივიწყებენ და ერთ ხუთ მანეთიან ფანარს ჩაურჭობენ სადმე განაპირა ქუჩის პირათ.

როცა მათგან ათიათასობით მოხვეჭენ სწავლის ფულს, არც იგენს დაივიწყებენ და ერთ განყოფილებას გაუხსნიან ანაბანის შესასწავლათ.

როცა მათგან უხვად მოაგროვებენ გადასახადს წყლისათვის, არც მათ ინტერესებს ივიწყებენ და ღარიბთა უბნებშიაც ორ სამ ალაგას ამოაყოფიებენ თავს მილს, საიდანაც უმეტეს შემთხვევაში მხოლოდ ბუყბუყი ისმის და წყალი არც თუ წვეთავს.

არიან ისეთი გვამები, რომ ყოველივე ამის შემდეგ მაინც დაიწყებენ მტკიცებას: მდიდრების ხელში ჩვენი საქმე უკეთ წავა, ვინაიდან ისინი მდიდრები არიან და დაგვეხმარებიანო.

**სოციალ-დემოკრატები კი ამბობენ:**

თავი დაანებეთ! ქარის ნურც შემოტანილი გვინდა, ნურც გატანილი. ოღონდ ჩვენსას ნუ წაგვართმევენ და მისას ჩვენ არაფერს ვთხოულობთო. ქალაქში ღარიბი ასჯერ მეტია, ვიდრე მდიდარი და ამიტომ ქალაქის მართვა გამგეობაც სწორეთ ღარიბი კლასის, ხალხის, ანუ დემოკრატიის ხელში უნდა იყოსო.

ეს დიდი ხნიდან ასე იქნებოდა, თუ კი ყველა ღარიბს, ყველა დემოკრატს გარკვეული ჰქონდეს თავისი ინტერესები. ეს რომ ასე ყოფილიყო, განა თფილისელი სომხის დემოკრატები დაშნაკცაკანებს, იმ სოლოლაკელთა პირმშო შვილებს და ვორონცოვის ლაქიებს მისცემდა ხმას? რასაკვირველია არა, მაგრამ შეგნება ერთობ ნელა, მეტისმეტი გაჭირვებით ჩადის ღარიბი ხალხის თავში.

კმარა რაცა ვსთქვით. ვისაც ყურნი აქვს სმენად ისმენს და ხმას მისცემს დემოკრატიის ჭეშმარიტი დამცველის **სოციალ-დემოკრატიის** საარჩევნო სიას **№ 1.**

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პატარა ფელეტონი

---

# ქუთაისი.

ღმერთმა რომ ქუთაისი გააჩინა, (თუ მართლაც მიუძღვის მას ამ დანაშაულის ჩადენა!) შუბლზე მტვერი დააყარა და ზედ ჩხირით დააწერა:

— იქნები მითა ჟამში ერთ წერტილზე გაყინული, არც მოიმატებ, არც მოიკლებ, არც სრულიად გაგიჟდები, ვერც მეტ ჭკვას შეიძენ: ყველა აბუჩად აგიგდებს და უთავოს თაოსნობას მოინდომებს.

დააწერა და დასტოვა.

ჩამოიარა კალისტრატე ჩიკვაიძემ, დაინახა წარწერა, წაიკითხა და ეშმაკურათ ჩაიცინა:

— შეხედე ღმერთს, რა მშვენიერი ლუკმა გადმოუგდია ჩემთვისო. აიღო და ფეხებზე დაიკიდა.

დიდხანს ათრევდა იგი ქუთაისს, ვიდრე სიბერემ არ უწია და კუნთები არ მოუდუნდა.

ერთხელ, საღამო ხანს, კალისტრატემ ბალახვანის ქუჩაზე ჩამოიარა. ფეხი ტალახში ჩაუცდა, მოსწია, როგორც იქნა ამოიღო, მაგრამ ქუთაისი კი ტალახში ჩარჩა.

გზათ ილია მანუჩარიჩი მოდიოდა. შორს მჭვრეტელი თვალი მოჰკრა ტლაპოში ჩარჩენილ სამკაულს და მხიარულათ შემოსძახა:

— ერთი ამას დამიხედეთ, სწორეთ ჩემზე ითქმის: „ბედი მომეც და სანეხვეზე გადამაგდეო". კალოში მჭიროდა და აი სად დამისკუპა ბედისწერამ.

ჩაიცვა ფეხზე, მაგრამ სრული მოუვიდა და სრულიად ჩაჯდა შიგ. მშვენიერი სანახავი იყო იგი ამ მდგომარეობაში. მარტო თავიღა მოსჩანდა კალოშიდან და ვინც კი დაინახავდა ყველა ასე ამბობდა:

— ერთი შეხედეთ რა მშვენივრათ ზის თავი კალოშშიო.

მართლაც მშვენივრათ იჯდა. არხეინათ მომდიმარ სახეზე არავითარი მზრუნველობის ნაოჭები არ ემჩნეოდა. წვიმის დროს დაცურავდა ტალახში ლაღათ და მზიანში ზენა ქარისაგან აყენებულ

მტვერს უდარდელათ ყლაპავდა. ყველა სიამოვნებითა და მხიარულათ უყურებდა მის საქმიანობას, თითონაც საფუძვლიანათ მსჯელობდა. როდესაც ჰკითხავდნენ:

— რატომ ქუჩებს არ გაასუფთავებ ასეთი გაუვალი ტალახი დგასო. ილია მანუჩარიჩი მიუგებდა.

— ნუ თუ არ იცით ტალახს რო სამკურნალო მნიშვნელობა აქვს? თქვენ გეტყობათ მუნიციპალური საქმეებისა ბევრი არაფერი გაგეგებათ. მე დანამდვილებით ვიცი, რომ უტალახო ქალაქებიდან განგებ დადიან ტალახიანებში. მაგალითად ევპატორიაში, გურჯაანში და სხვაგან.

მოდი და მიუგე სიტყვა ასეთ ნასწავლს.

— ესეც არ იყოს,—განაგრძობს ილია მანუჩარიჩი—ტალახში სიარულიც უფრო ერბილება ადამიანის ფეხს, ვიდრე ქვაფენილებზე ხრაგუნი.

და განა ეს მართლაც ასე არ არის!!

იჯდა არხეინად თავისს კალოშში ილია მანუჩარიჩი, როცა საშიშარი ზენა ამოიქრა. დაჰქროლა მის კალოშს და ტლაპოს ტალღებზე აათამაშა. ჰაი გადარჩეს, ჰაი გადმოვარდეს და დაიხრჩვეს. მდგომარეობა ტრაღიკული შეიქმნა. მან საქეს ხელი გაუშო და ღვთის ვედრებას შეუდგა. ეს ხერხი ,,დედა-ენიდან'' შეუსწავლია.

ქარიშხალი მატულობს და აი ფერისცვალება დღეს კრიზისიც მოსალოდნელია. ქირისუფლებს იმედი აქვთ მისი გადარჩენისა, მაგრამ ჩვენის აზრით კალოში უთუოდ გადაუბრუნდება და ჩასძირავს, ან უკეთეს შემთხვევაში, რომელიმე რესტორანის პირად გაირიყება.

ვნახოთ ფერისცვალებაც ხვალ არის.

**მორიელი.**

# ქუთაისი

(ყუთები).

ყოველ დღე ფულის ხიკვა
და ყოველ დღე ყუთები,
სახლიდან ვერ გავდივარ,
მგონი დავიხუთები.
სად იშოვნეს ამდენი
ეგ მოცლილი ქალები,
ბიჭი ხარ და ამ ქალებს
სადმე დაემალები!
მერე ქალებს, რა ქალებს!
გეგონებათ ნახატი!
ოი იმათ გაუწყრათ
წმინდა გიორგის ხატი!
ერთი კვირა მშიერი
რომ იარო ქუჩაზე,
უარს მაინც ვერ ეტყვი
ფულების მიცემაზე.
მასთან თავი თუ მოგწონს,
მეყუთეა ლამაზი,
იმდღეს აღარ გიშველის
მათვის ასი აბაზი.
არა ერთხელ დაისვა
კითხვა: ყუთის აკრძალვა,
მაგრამ ასეთ აზრების
დროზე მოხდა დაკრძალვა.
მერმე იცით რა იყო
ყველა ამის მიზეზი?
ძმაო ისევ ქალები
და იმათივე დეზი!
მე არ მესმის რათ უნდათ
მათ ემანსიპაცია,
მთელი ქვეყნის კაცებსა,
როს სძლევს ერთი ფაცია.
მაშ ვიკმაროთ ეხლა ეს
დავგმოთ ასეთი წესი,
დამიჯერეთ ეს რჩევა
იქნება უკეთესი.
გაგვიმართეთ თეატრი,
გაგვიმართეთ საღამო,
დეე იყოს ქალები
ლამაზები, საამო,
ოღონდ გვქონდეს უფლება,
რომ მოვიდეთ ნებითა
და ჩვენაც მოგეპყრობით
მეტ პატივისცემითა.
და თუ ამას არ იზამთ
ტაქტიკურ მოსაზრებით,
ქუჩაში ხეტიალით
რა კი ველარ გაძლებით,
მაშინ, დანო, არ ვიცით
თავი რით დაგახწიოთ

და ესე გასაჭირი
თუ რა ხერხით დავსძლიოთ.
შენ კი ძმაო, ეშმაკო,
გახლავს გამოცდილება,
იმედია ამ თხოვნას
არ ხვდება გაწბილება.
მომწერე საიდუმლოთ
და მტერი დააბრმავე,
იქნება მით დამიხსნა
მე შენი მოამბავე,
რომ გავიდე ქუჩაზე
უშიშრათ, უდარდელათ
ამბების შესაკრებათ
და შენდა მოსაწვდელათ.

**სატანა.**

# ბედნიერი დღე.

(ველისციხელების აღტაცებული სიხარული).

მართლაც რომ 19 მკათათვისთანა ბედნიერი დღე მის ჟამში აღარ გაუთენდებათ ველისციხელებს!

რა იყო მიზეზი?

აღნიშნულ რიცხვის წინა ღამეს კობახჩოელ ლეკებმა ოთხი ურემი, ანუ წონით 1011 ფუთი მომწიფებული **სისულელე** მოიტანეს!

იმ ღამესვე შეიკრიბა სასურსათო კომიტეტი, შეიკრიბა აგრეთვე აურაცხელი ხალხი. მოსულმა ლეკებმა იქ დამსწრეებს შემდეგი შეღავათიანი წინადადება მისცეს: რადგანაც ჯერ-ჯერობით იმ სალდათთა ცოლებს, რომელთა ქმრები შინ არიან, მაგრამ მთავრობის მუქთა მოწყალების მიღება ცოტა უგვიანდებათ და ღვინის მოსავალიც ადრეა, ამისათვის ამ ჩვენ მიერ მოტანილს და თქვენთვის ფრიად აუცილებელ საქონელს „ნდობით" გაძლევთ და ხვედრი ფასი მომავალ ქრისტეშობისთვის პირველამდის ჩაგვაბარეთო.

სასურსათო კომიტეტმაც და ხალხმაც დიდის აღტაცებით მიიღეს ლეკების ასეთი ლმობიერი წინადადება და მადლობა გამოუცხადეს ნდობისათვის.

ამის შემდეგ ასტყდა ჩვეულებრივი დავა: ათას თერთმეტი ფუთი „მომწიფებული სისულელე" კომლიურათ გაიყოს თუ თითო სულზე განაწილდესო.

ხმის უმეტესობით სულზე განაწილება გადაწყდა.

ხანგრძლივი ანგარიშის შემდეგ გამოირკვა, რომ დიდსა და პატარას ოჯახში მყოფს თითოს ჰხვდება შვიდ-შვიდი გირვანქა „სისულელე". მაშინვე გაინაწილეს ეს „სისულელე", რომელიც ზოგიერთ ოჯახს სამ ფუთამდე ერგო!

არ დაივიწყოთ, რომ ველისციხელებისათვის ეს სულ ახალი ხილია!

ხალხი დიდი კმაყოფილი დარჩა როგორც ლეკებისა, აგრეთვე ადგილობრივ სასურსათო კომიტეტისა.

შემდეგ წერილში მოგწერ, ამხანაგო ეშმაკო, როგორ სარგებლობენ ველისციხელები თავიანთ „სისულელით".

**ახალი აგენტი.**

# ჩემი გასაჭირი.

ავდგები დილას და
რას ხედავს თვალები!?
ყულაბით ხელშია
ამდგარან ქალები,

—

დადიან ფუნდრუკით
როგოც, რომ გვრიტები;
როგოც, რომ ფერია,
მარდი და ცქვიტები.

—

პატარა აფიშას,
მოგაკვრენ გულზედა,
ვინ ნაღვლობს თუ ჯიბე
თხლათ არის ფულზედა.

—

ჯანაბას! ვიფიქრებ:
ვერ ვეტყვი უარსა,
საცოლო ვაჟი ვარ
თავს ქუდი მხურავსა...

—

გვიარ ცოტას და
იქ კიდევ სხვებია,

# ზ უ თ ხ ე ბ ი ს ზ ე ი მ ი.



**კალისტრატე ჩიკვაიძე.** იცინეთ, იცინეთ ვერაგებო, „დრო" იყო თქვენი საშუალებით ქალაქს გადავაბრუნებდი.

**ზუთხი.** დრო იყო და აღარ არის
ვგონებ აღარც დაბრუნდება,
იგი შენი ტარიელი
საარაკოთ გახუნდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ურემი რო გადაბრუნდება გზა მას უკან გამოჩნდება.




ზედაურსა ჩვენსა „ჰანჩაკსა“
(ვისა უქებ მე ჩაკჩაკსა)
გზა აებნა არჩევანის
კანდიდატთა გამოყვანის.
მყის შეაბეს მათ ურემი
ზედ შემოსვეს არშაკ ჩემი,
და ქუჩებში გაუყენეს
(მტრებს თვალები დაუყენეს)
გზა გამოდგა ერთობ ბრუნდე,
(ურემმა ჰქნა გადაბრუნდი)
არშაკი მას ქვეშ მოექცა
და მყის თვალი დაეცეცა.
დაინახა მან სხვა შარა
და სთქვა: მე ვარ მეტიჩარა.
ანდაზას რათ არ ვუყურე
და ტალახში შევაცურე?
აი თურმე გზა სად მიდის
ან მე ურემს ვინ მიყიდის?

— კი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩამდგარან ქუჩებში,
გაუკრავთ გზებია.

—

ჩაგვიგდე! ჩაგვიგდე!
ცოტა რამ წვლილი,
(და ვფიქრობ ლამაზთან
არ ვჭამო სირცხვილია.)

—

ვაძლევ და მივდივარ.
მაგრამ აქ სხვა კიდე;
წინ მხვდება:-ცირკისა
ბილეთი იყიდე!

—

(ჯანაბას ვიფიქრებ:
ვერვეტყვი უარსა,
საცოლო ბიჭი ვარ
თავს ქუდი მხურავსა...

—

ვაძლევ და მივდივარ,
გროშებზე მწუხარე.
გონებას ცეცხლი სწვავს,
გულს მდაგავს მდუღარე.

—

მივდივარ ქვევითა,
მივდივარ მაგრამა;
კვლავ მოაქვს მზე ქალს
თეატრის პრაგრამა.

—

„— ვერ წახვალ, დაიცა,"
თან წყნარად იცინის.
თან ბილეთს ხელშია,
მაძალებს მაწვდის ის.

—

ჯანაბას, ვიფიქრებ,
ვერ ვეტყვი უარსა,
საცოლო ვაჟი ვარ
თავს ქუდი მხურავსა.

—

და მივალ ოხ, ღმეთო,
რა არის ამდონა?!
კვლავ მხვდება ახალი,
ვითარცა მადონა.

—

ყმაწვილო! ყმაწვილო!
დაიცა ერთ წამა..
(თითქოსო ზევსური,
მასმინა ზეცამა...)
იყიდე ბილეთი,
კლუბში გვაქვს საღამო!
მოდით და ატარეთ
დროება საამო...

—

თან მაწვდის ღიმილით,
ბილეთებს ხელში,
(თვალს ტურფა რამ მტაცებს,)
მაციებს წელში,
ჯანაბას! ვიფიქრებ:
ვერ ვეტყვი უარსა,
საცოლო ბიჭი ვარ,
თავს ქუდი მხურავსა...

—

აღარ მაქვს გროშები,
ამეწვა მუცელი,
გულზე მაქვს აფიშა
ორმოცი ფურცელი...
ოხ რას გავს ეს ძარცვა,
ოხ, რას გავს ნეტავი?!
რად გაჩდენ ქალები,
ეგ გასაწყვეტავი.

—

ყოველ დღე ქუჩებში,
ყულაბი, ბილეთი,
მათხოვრად ამდგარა,
ეს ხალხი მილეთი,

**როკოკო.**

# ახალი ბრძოლის ველი.

I.

დღემდის ნეიტრალურმა ხვარბეთმაც გამოუცხადა ომი კოოპერატივ „სიფხიზლეს".—წარუდგინა ნოტა თუ არა, ელვის სისწრაფით დაესხა თავს საწყალ „სიფხიზლეს", საშიშრათ შეიარაღებული რაზმი, ბზაჯძის თაოსნობით. იგი შესანი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შნავათ აწარმოებდა ბრძოლას, რამდენიმე კონტრ-იერიშების შემდეგ საგრძნობლად დაუახლოვდა „სიფხიზლის“ გამაგრებულ კედლებს, მაგრამ თავ-განწირული ბრძოლით შეაჩერა „სიფხიზლის“ რაზ მმა ბზაჭაძე. იგი იძულებული შეიქნა შეეჩერებია ბრძოლა დროებით, რადგან მათ ხელს უშლიდა უსურსათობა. ამით ისარგებლა „სიფხიზლის“ კო-მენდატმა, გამოიწერა სპეციალისტი ინჟინრები ი. ლ-ძე. და ნ. ტ-ში რომლებმა სწრაფად შეაკეთეს დანგრეული სიმაგრეები.

16 ივლისს გაჩაღდა ხელ ახალი ბრძოლა. ბზა-ჭაძე მაღლიდან დაეცა სიმაგრეს და დასანგრევად აუარებელი ჭორებით გატენილი ყუმბარები ჩამო-ყარა... მაგრამ ზარალი არ მოუტანია, რადგან და-ქამული გამოდგა მათი ყუმბარები ნოტიოანი და-რების გამო.

— ხლიკვაძე ლაშეს შემოჰყოლოდა მაგარი კრეისერებით, რომელიც მოდიოდა მძიმე ზარბაზ-ნებით და აუარებელი ჭორებით შემზადებული ყუმ-ბარებით. მაგრამ ორასი მეტრით დაუახლოვდა თუ არა ნალმს, წააწყდა და აფეთქდა. ჰაერი კი ერთობ მოწამლა.

— ქვეითი და მზვერავი რაზმი გულიანად მო-ადგა „სიფხიზლის“ სიმაგრეებს. ბ-ნი ინტრიგაძის მეთაურობით, მაგრამ ორიოდ კონტრ იერიშის შემდეგ სიფხიზლის რაზმმა იგდო ხელთ ბ-ნი ინ-ტრიგაძე და რამდენიმე ტყვე აუარებელი ნადავლით. (რომლის რაოდენობას შემდეგში აღვნიშნავთ) ბრძო-ლა დასრულდა სიფხიზლის სასარგებლოდ. უსურ-ვებთ გამარჯვებას სიფხიზლის რაზმს და მათ კო-მენდატს რომლებიც დღითა და ღამით მუშაობენ საქმის ტეხნიკურად გაუმჯობესობაზედ.

გაუმარჯოთ მათ...
ძირს ჭორებით შეიარაღებული რაზმები.
ძირს მათი მეთაური ინტრიგანები...
გაუმარჯოს პატიოსან მშრომელს...

**ანდრიეს მეზობელი.**



# ხონის ფილიალი

ამბობენ:—მასწავლებლებმა
გავხსენით ფილიალიო;
ჩვენი ნუგეში, იმედი
სიცოცხლის ნაპერწკალიო.

—:—

წევრებათ ჩავეწერენით
ყველანი: კაცი-ქალიო,
რომ მით გვეგემა ტანჯულებს
სიამე, შვების ალიო.

—:—

მტკბარი ალერსით გვეჰვრიტა
მზე ჩვენთვის ამოსულიო,
ია და ვარდი დამჭკნარი
გვენახა გაფურჩქნულიო.

—:—

მაგრამ ფილიალს თან დაყვა
განხეთქილება, შურიო,
და მით მუდმივათ ტანჯულებს
დღესაც გვედება წყლულიო.

—:—

გამგეობაში „ესფერი“
რადგან არც ერთი მოჰყვაო,
ასტეხეს აურ-ზაური
ისტერიკა და ბოდვაო.

—:—

ნებას დავყევით, ხელახლად
ვაკეთეთ არჩევნებიო,
მაგრამ არ იქნა, არ მოყვა
ისევ გავიდენ სხვებიო.

—:—

მაშინ კი მტრობა ღალატი
მათ გულში ჩაიხვიესო
და სხვა უბნიდან საშველად
„ლაშქარი“ მოიწვიესო

—:—

რომ „პირველობა“ ხელთ იგდონ
იპატიჟებენ ყველასო,
სიმართლეს აფუჩეჩებენ
ავარჯიშებენ ენასო.

—:—

პრაპორციის და მიხედვით
მივეცით ორის ნებაო

მაგრამ უარყეს ,,გმირებმა''
სამართლიანი მცნებაო.

—:—

გვემუქრებიან: დღე-დღეზე
ახალ ,,ფილიალს'' გავხსნითო
და თქვენს დაწყებულ საქმესა
შეგიშლით აღარ გაცლითო.

—:—

მე გზას ულოცავ, ეშმაკო!
დე, ფრთები შალონ საფრენად,
გაინავარდონ ჰაერში
სასიამოვნოდ, სალხენად...

გრიშა იმერელი.

---

# რკინის წყალი.

(გურული სცენა).

რკინის წყალი კარგი არის,
ის სისხლ ნაკრულს მეუხთება,
ერთი კია, ხათაბალა,
ყოველთვის არ უნდა დალიო.

სოლ. ზურგიელიძე.

აი სოლომონე ზურგიელიძე ვინცხა ყოფილა, ჭკუიანი კაცი კი ყოფილა რავაც ეტყობა. იმის კარაბადინში ყოლიფერი ჭკუის სასტავლი წერია, მარა ერთი ამ რკინის წყალზე რომ დიეწერა: რა და რა დროზე დავლიოთ და რამდენი, ხომ დაგვიხსნიდა ამ სარესკელ ხალხს დაღუპვისაგან... ბიჭო, ამისანე ჩემს მტერს ნუ დამართოს ღმერთმა, ჩვენ რომ გვემართება დაჩნიკებს წაღვერში. რომ დევიბადე, მას მერე მესმის: წაღვერში კაი რკინის წყალიაო, სისხლ ნაკრულს მოუხდებაო, მარა, როის დალიო, რა და რა დროზე, რამდენი, აი, ერთ კაკალ კაცმა არ იცის აქობამდი... აი, რავა მეგონა თვარა, რავა ღმერთი გამიწყლებოდა, რავა ამევიდოდი აქანე, ჩვენი ხევის*) წყალის თვისება ყველაფერია აწერილი, ახსნილი დოხტურებისაგან ქაღალდზე და ქეა აწეპებული ხევის დუქნებზე აბჳლანიკბათ, აქანაი აფერი სიკეთე [illegible]... ამოზავდებიან თურმე რავარც წროულს, ისე ყოველ წელიწადს ზაფხულზე საწყალი ავათყოფი ხალხ.., ქაჩავენ და ქაჩავენ ამ რკინის წყალს პიანიცა პეტრიელა რუსივით, მარა ასში ერთს ვერ ნახავ, რომ ამზობდეს მომიხდაო. ასე დემემართა მე უბედურს წროულს. დოხტურებმა მირჩიეს, სისხლ ნაკრული ხარ, წადი მოგიხდება წაღვერის რკინის წყალიო, თვარა, რამდენი დალიე, როისო, იგი არ უთქვამს ერთ კეკალს. ამ წყალის გულობიზა დევიდევი ვალი და წამოვედი, თვარა ხაიერი ჩემსას ნაკლებია სოფელში? წამოვწობოდი ნიგვზის ძირში და მიბინდილებდა ქარი და ქე ვიქნებოდი. აგი ასესხებული ფული სახლში მეჭამა იგი არ ჯობდა, მარა, რა ვიცოდი, ასე თუ იყო საქმე... ამუედი აქანე, ვიფიქრე, ან აბელანიე კი იქნება სამე გაკრული, ან ვინცხა კი დამარიგებს რაფერ ვსუა წყალი მეთქინ. ჭირმა არ შეგჭამოს, აფერმა კაცმა აფერი იცოდეს აქანა... ერთმა მითხრა უზმათ არ დალიოვო. დუუჯერე იმას და ვქაჩე თითო ბოთლი წყალი ნასადილობევს, თლა მომკლა კაცი. მეორემ მითხრა: უზმათ დალიე აფერი გიჭირსო",—ვქაჩე და ვსვი უზომოდ. უკაცრავათ პასუხია, თქვენთან შიში და მორიდება, ქე გამაიმასქნა მუცელში. მესამემ მითხრა: „პაწა-პაწაი დალიე სადილობის დროსო.. დავლიე იმან რომ მირჩია ისე—გევიხედე, ემეწვა კუჭი, გამიჩთა შით ცეცხლი, თაკარა., ემერია გული და სულ დედო ჭია არ დამმაგრებია მუცელში, რაც რამე მქონდა ყველაფერი წამომაღებია. მეოთხემ მითხრა: „ასე იმიტ.ამ გიზამდა, რომ მჟავეს ჭამდი რამეს სადილათ, ან ხილსო, მჟავე და ხილი აფერი არ უნდა ჭამოვო, როცა მაგ წყალს სუამო... კაი, დუუჯერე იმასაც ევიკრძალე ყოლიფერი ხილი... დავლიე კიდომ, მაინც მაწყინა. ვიკითხე, რის მიზეზია ახლა რომ მაწყინა მეთქი... მითხრეს, ჩაის დალევდი დღეს და იმის მიზეზი იქნებაო... გადვირიე კაცი. გევიქეცი დოხტორთან. იმან მითხრა, სადილი რომ ჭამო, ორი საათის მერე დალიეო... ვჭამე სადილი, რაცხა ორი ლუკმა პური ვიშონე, ნახევრად მშიერი ვიყავი, წაველი რკინის წყალზე ჩავდექი ვეჩერედში ისე მომშივდა ფეხზედ დგომით, რომ მაინც უზმოთ დამირჩა სმაი და ქე მაწყინა... დავკარი ფეხი დ

---

*) ხევი სოფელია გურიაში. სადაც მჟავე წყლებია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმდღიდან არ წავსულვარ წყალზე და არც ერთი კამპლი დამილევია. დასწყევლოს ღმერთმა ჩემი იღბალი, გადვირიე კაცი და აგია... არა, უწინდელ დროში რომ იყო ასე უყურადღებოთ კიდომ არ გაგიკვირდება, მარა ახლა დაჩნი კამიტეტმა რეიზა ვერ გამეიკვლია რას უხდება უმფრო აგი წყალი, რა და რა დროზე დალიოს კაცმა და რამდენი, ამას გამოვაკლოვიებდი თბილისში დოხტურებს, და გავაკრავდი აბელანიას წყალზე და გადავრჩებოდით ამდენ უბედურებას. მე კი დევიღუპე კაცი და რამდონ დღეს მე იქით არ ვქნა პირი, იმდენ დღეს აფერი გეტკინა არავის.

ლუკაიეს ობოლი.

# გამოცანა.

(ბანძისათვის).

თუ მოხდება სადმე კრება
ტრიბუნაზე ადის იგი,
ფერ წასულსა და მღელვარეს,
მას არ ახსოვს წესი-რიგი,
უგზო-უკვლო ლაპარაკის
აქვს უნარი გაბედული,
მის სიტყვებში არც ლოღიკა,
არც დასკვნა, არც დასარული
მცენარეთა სამეფოდან
იღებს მუდამ მაგალითებს...
(უკაცრავათ, უფრო ხშირად
ითვლის თავის ხელის თითებს).
იერიშობს კერძო პირზე,
„გაშავების“ მსურველია,
მაგრამ მისი დამარცხება
ჩვენში არა პირველია.
თუ ვერ მიხვდით, განგიმარტავთ:
ის სოჩელი ტერორია,
როგორც თვითონ განაცხადებს;
„თუ მართალი, თუ სწორია!“
ან-და მიდით, შეეკითხეთ
განკიცხულსა ამბაკოსა,
იგი გეტყვის ვინა უტევს
არწივებსა სუსტი (?) ქორსა.

გურჯი.

# განცხადება (†?).

როდესაც ბრძოლა დაიწყო,
ეშმაკი, მთავარ სარდალი,
იდგა ბრძოლის ველს უშიშრად,
მტერმა ვერ უქნა ბანდალი.
მარჯვენა ფრთაზე თაგუნა,
მარცხნით ბლიკვაძე ქებული;
მტერს მათრახს სცემდენ უშიშრათ
რაინდნი გამარჯვებულნი.
ონისიმე და ფონტეფო,
მათ მხრებში ედგა მარადა;
ტვინს უხურებდა ცემითა,
მოსულ მტერს დაუმცდარადა.
პოდბიპენტა და წაველა,
და სხვა იუმორ მწერლები,
მტერს, რომ ზვერავდენ, კალმისთვის
არ გაუშვიათ ხელები.
დღეს აღარც ერთი არა სჩანს,
დარჩა ეშმაკი ეულათ;
სხვა კი აღარ სჩანს და ნეტავ,
რა სენმა დაასნეულათ?!.
თუ გახდენ დეზერტირები,
დასტოვეს ბრძოლის ველია;
ან ტყვეთ არიან, ან მტრისამ,
ტყვიამ მოსწყვიტა წელია?!.
შემოგვითვალეთ, ვინ იცით,
ამ მებრძოლების ამბავი,
იგრედამც აგიყვავდებათ,
დედისა და მამის საფლავი...

როკოკო.

# წერილი რედაქციას

ბ. რედაქტორო!

წარსულ კვირის ეშმაკის მათრახის მე № 29-ში მოთავსებულ წერილში...— ,,ქიათურისათვის“ ნახსენებია ასეთი სახელი და გვარი: ლუკა ჯ—ას. შეიძლება ბ. კ. ი. ბ. ა. ს. მე ვყავარ სახეში. თუ ეს ასეა ამ წერილის ავტორმა დაუყოვნებლივ გამოამჟღავნოს თქვენი ჟურნალის საშუალებით თავისი ნამდვილი სახელი და გვარი, და ჩემზე სწერს

მართლა თუ არა იმ ცილის წამებას. თუ ჩემზე სწერს უსათუოდ უნდა დამიმტკიცოს თავისი მოსაზრება ჩემ მიერ გამოწვეულ სამედიატორო სამართალში.

პატივისცემით ლუკა ან. ჯიქია.

—

ამხ. ეშმაკო! ადგილობრივი ამხანაგები იქვის თვალით მიყურებენ, თითქოს ჟურნალ ,,ეშმაკის მათრახი''ს № 27 მოთავსებული ლექსი ,,ნამდვილი მოამაგე''ს (ძღვნად ჯუკუ ხურცილავას) სათაურით ,,ისარი''ს ფსევდონიმით მე მეკუთვნოდეს, ამისათვის ვთხოვ ,,ეშმაკის მათრახის'' რედაქციას დამიმოწმოს, რომ ზემოხსენებული ლექსი მე არ მეკუთვნის და მით გამომიყვანოს უხერხული მდგომარეობიდან*).

**მიხაილ ს. კაჭარავა.**

---

# ფოსტა

**კ. ლ—ვაო.** თქვენი სცენა უფრო სატირალია, ვიდრე სახუმარო.

**თავისუფალ მოქალაქე კ. გოცირიძეს.** გაცნობებთ, რომ ჩვენი მოზარმაცო თანამშრომელი ,,ისკანდერი'' სცხოვრობს ქ. ბათუმში.

**პ. დ. დ—ს.** თქვენი მესტვირული ვერ გამოდგა, მიუხედავათ იმისა, რომ გიწერიათ ღამის ორ საათამდე. სინჯეთ უფრო ცვიან საათებში წერა.

**გრამაფონს.** მიუხედავათ ფირმისა თქვენი გამოცანების დამღერება სახამუშო გამოვა.

**მოაგარაკეს.** თქვენი ლექსი „ცემის სარკე“ ასე იწყება:

„ჩემი წლები რომ დავთვალე
ჩავდექი მესამოცეში,
მაშინ მოვზდი ეს მოხუცი
სახეიროთ დაბა ცემში“. ო

დაბა ცემი კიდევ არაფერია, გაუძლებს კაცი, მაგრამ თქვენი ლექსი გაცილებით უკეთეს ალაგას' სარედაქციო კალათში მოხვდა.

**კ. ხაბალიანს.** „თქვენი სვანური სცენა“ ვერ წავა. ავათმყოფობის გამო.

**კ. ბ—მეს.** „სცენა“ ერთობ ვრცელია, შიგ კი არაფერია.

**ი. ხინველს.**

## მგელი და მელა

(იგავ-არაკი)

ერთ ბილიკზედ დიდ ღრმა ტყეში
მიდიოდნენ მგელი მელა;
იმათ შეხვდათ გზაზედ დათვი
მოდიოდა ნელა-ნელა...
— „აქეთ მოდით თქვენ ორივემ“ —
ამათს დათვმა დაუძახა...
მგელს და მელას შეეშინდათ
და გაუშრად ორივს ხახა...
და შემკრთალი მგელი მელა
შიშით გაჩნდნენ დათვის წინა
დათვმა მიხვდა იმათ შიშსა
და ცოტათი გაიცინა...
— „აბა, მგელო, ეს ხე მოთხარ“
და შენ ეს ხე გესმის მელავ,
ვინც ვერ მოსთხრით თავს ვეფიცავარ
სიცოცხლესა დაგიბნელავ“
უთხრა დათვმა მგელს და მელას
და თან იქვე იწყეს ცქერა;
მგელს იმედი ჰქონდა თავის
და ხეს წამსვე დაეძგერა...
მელას მეტად ეშინოდა—
ვერ მოსთხრიდა თავის ხესა;
მაგრამ—აი, დაეძგერა—
და ხე ყიმსვე წაიქცესა —
და მგელმა ბევრი სცადა
ვერა გახდა ვერაფერი
და გამოდგა მძლავრ მგელზედ
სუსტი მელა ღონიერი...

—

ხე მგელისა დიდი იყო
და მიწაში ძირ გადგმული
და მელას კი სუსტი, ბერი,
უძირო და ას წლეული.

—

*) რედაქცია აცხადებს, რომ ,,ისარი'' სხვა პიროვნებაა და რომ მათ შორის განსხვავება მეტია, ვიდრე მსგავსება.

მელას მეტად უხაროდა
მეტის-მეტად იცინოდა
თავს იქებდა, მგელს სცინოდა
მგელს უძლურსა უხაროდა...

—

მელა ჩვენში ბევრი არის
უსამართლოდ შექებული,
და იმათსა როცა ვხედავ
მიწუხდება სული, გული.

მელა მართლაც ბევრია ჩვენში, მაგრამ იგავ-არაკების მწერალი ძლიერ ცოტა და ამიტომაც სიამოვნებით ვბეჭდავთ (ფოსტაში) ი. ხინკელის იგავ-არაკს. ვბეჭდავთ უცვლელად.

**ნიკ. დარა—ვილს.** „შარადა“ კოჭლობს შინაარსით. თქვენი სურათები გვარიანი იქნება, რომ „ტუშით“ და უკეთეს ქაღალდზე იყოს დახატული, ადრე რო ვიცოდეთ ჩვენს რედაქციას შეეძლო მათი მოწოდება.

**სოფელ ბჟოლიეთელს.** გაგვაგებიეთ რაზე სწერთ?

**მევისტოფელს.** უკუღმა გაიგებენ „ძველ ძალსა არა..

---

კანტორა „განათლება“ უკანასკნელად აცხადებს, რომ აგენტებს, რომლებსაც გაზეთების გზავნა შეუწყდა ფულის გადაუხდელობის გამო, ეძლევათ ვადა 15 აგვისტომდე, რის შემდეგ მათი სახელი და გვარი გამოცხადდება გაზეთებში, იქნება ეს კერძო პირი, თუ ორგანიზაციის წარმომადგენელი და ფულების ასაღებად მიღებული იქნება შესაფერი ზომები.

---

გამოვიდა და იყიდება
**ლეო ქიაჩელის**
მოთხრობა 1905 წლ. რევოლიუციონური მოძრაობიდან
# ტარიელ გოლუა
გამოცემა ავტორისა. წიგნის გავრცელების საქმე მინდობილი აქვს კანტორა „განათლებას“.
ფასი 2 მ., აგენტებს თვითეულ 30 ცალ წიგნზე დაეთმობა ცალზე 25 კ.
ნისიად არავის არ გაეგზავნება.

---

გამოვიდა და იყიდება კანტორა „განათლების“ მიერ გამოცემული
**ნოე რამიშვილის**
ცნობილი წიგნი
# ისტორიული მატერიალიზმი
ახლად შესწორებული ავტორის მიერ.
ფასი 1 მ. 50 კ.
იყიდება კანტორა „განათლებაში“.
აგენტებს დაეთმობა 20 პროცენტი. ნისიად არავის გაეგზავნება.

---

# „ერთობა“
## მიიღება ხელის მოწერა 1917 წლისათვის
**გაზეთი ღირს როგორც ტფილისში, ისე პროვინციაში მთელი წლით 15 მანეთი, ნახევარი წლით 8 მ. სამი თვით 4 მან 20 კაპ., ერთი თვით 1 მან. 40 კაპ**

გაზეთის ფასი ხელის მომწერლებმა წინდაწინ უნდა გადაიხადონ, ნისიად არავის გაეგზავნება

ფოსტით ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтовый ящикъ № 199, Власію Малакіевичу Бохохадзе

**ტფილისის ხელის მომწერლებმა ფული უნდა შეიტანონ კანტორა „განათლებაში“ ოლღ. ს ქუჩა №6.**

ეროვნული ბიბლიოთეკა




ღმერთო ჩემო! ეს რა მოესწრო ჩვენს ქალაქს, რომელს დავუჯერო, ყველა გაკეთებას მპირდება. მოდი დავიწყებ პირველ ნომრიდან.

რედაქტორი ეშმაკი, სტამბა ვ. რუხაძისა, გაბაევის შესახვ. № 1.